დაეხმარნენ ენის ათვისებაში. ეს არის ერთ-ერთი კარგი საშუალება, ისწავლო ურთიერთობის გზით.

საკვანძო სიტყვები: სოციალური მედია, ინტერნეტრესურსი, სასწავლო პლატფორმები.

შესავალი

უცხოური ენის სწავლებაში სოციალური ქსელების გამოყენება ბოლო წლების მნიშვნელოვანი ინოვაციაა. ბუნებრივად და ერთდროულად ხდება ენის შესწავლაც და ურთიერთობაც. უცხო ენის შესწავლის საუკეთესო ხერხი ენის მატარებელ ადამიანებსა და ბუნებრივ ტექსტებთან ურთიერთობაა. ეს საიტები ენის შემსწავლელს ერთ საერთო ენაზე ურთიერთობის, მისთვის საინტერესო თემებისა და ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას სთავაზობენ. კვლევების მიხედვით, ენის შესწავლა, როგორც სოციალური, ასევე ინტერაქტიულია, ასე რომ, ეს მეთოდი ხელს უწყობს უცხოური ენის შესწავლას. ენის შემსწავლელს შეუძლია ენის შესასწავლად მისთვის საინტერესო და კომფორტული გარემოს შექმნა, უზრუნველყოს მასალის ათვისების კომფორტული, მოსახერხებელი პირობები.

სოციალური მედია ენის ათვისებაში არ არის მხოლოდ ვებ-გვერდების და ვიდეოების დათვალიერება ან საინტერესო ლინკების გაზიარება, თუმცა ზოგიერთი ფორმა არის მეთოდის ლოგიკური კომპონენტი, მნიშვნელოვანია დამოკიდებულება. სოციალური მედია შეიცავს ენის ინტერაქტიული გართობის ელემენტს ენის სწავლების განვითარებისთვის. სოციალური ასპექტი მშობლიურ ენაზე მოსაუბრეებთან კავშირის საშუალებას იძლევა. ხაზგასასმელია ის, რომ ამის გაკეთება სახლიდან გაუსვლელადაც კი არის შესაძლებელი. სოციალურ მედიას შეუძლია უზრუნველყოს საკუთარი თავის ანგარიშვალდებულება. შესაძლებელია პროგრესის შემოწმება მიზნის მისაღწევად. ხდება საკუთარი თავის წახალისება. ენის შესწავლას ეხმარება ვიდეო, საინფორმაციო გამოშვებები და საუბრები იმ ქვეყნის კულტურულ ასპექტებზე, სადაც სამიზნე ენაზე საუბრობენ. ენის სწავლება არის სოციალური და ინტერაქტიული პროცესი. ტექნოლოგია არ არის მეთოდი და თავად ტექნოლოგია არ აუმჯობესებს სწავლებას და სწავლას; უფრო მეტიც, ეს არის ის, თუ როგორ გამოიყენება ტექნოლოგია, რამაც შეიძლება სწავლა გამოიწვიოს.

ელექტრონულ საშუალებებს მნიშვნელოვანი პოტენციალი აქვთ სწავლა/სწავლების თვალსაზრისით. ენის ჯგუფები არის ბევრი ადამიანისთვის ამოსავალი წერტილი. ისინი ბევრს დაეხმარნენ ენის ათვისებაში. ეს არის ერთ-ერთი კარგი გზა ისწავლო ურ-

თიერთობის გზით. გამოყენებულ უნდა იქნეს სოციალური მედია პლატფორმები, რომლებიც მუდმივად ხელთ გვაქვს.

თავის წიგნში გლობალური მიღწევების შესახებ ტონი ვაგნერი ამტკიცებს, რომ არსებობს რამდენიმე აუცილებელი უნარი, რომლებიც სჭირდებათ შემსწავლელებს 21-ე საუკუნეში, და თუ როგორ შეიძლება ტექნოლოგია დაეხმაროს მათ ამ უნარების მიღებაში.

- კრიტიკული აზროვნება და პრობლემის გადაჭრა
- სისწრაფე და ადაპტირება
- ინიციატივა
- ეფექტური ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია
- ინფორმაციის წვდომა და ანალიზი
- ცნობისმოყვარეობა და წარმოსახვა

პოპულარული სოციალური ქსელებია:

Facebook – ეს არის კარგი პლატფორმა ურთიერთობისთვის. არსებობს სხვადასხვა ენის ჯგუფები და ზოგიერთი ჯგუფი არის მხოლოდ სამიზნე ენაზე მოსაუბრეებისთვის. ყველა სტუდენტი იყენებს Facebook-ს, რითაც ურთიერთობენ ერთანეთთან, ეს არის მარტივი და ინტუიტიური საკომუნიკაციო გზა. სტუდენტებს შეუძლიათ შეაფასონ პროგრესი და მიიღონ უკუკავშირი, ნახონ კომენტარები, ხელახლა ატვირთონ ფაილები, დაუსვან კითხვები ერთმანეთს და შესაბამისად უპასუხონ. პედაგოგს შეუძლია Facebook საშუალებით დამატებითი მასალის მიწოდება. სტუდენტები ერთმანეთში ცვლიან ინფორმაციას და სასარგებლო მასალებს, იყენებენ კრიტიკულ აზროვნებას. ცდილობენ სოციალური მედიის მეშვეობით სწავლისთვის აუცილებელი და საჭირო კურსების მოძიებას. შეუძლიათ განმარტონ, თუ რატომ ეძებენ საჭირო მასალებს, ერთმანეთს უზიარებენ დავალებებს. იძენენ საჭირო უნარ-ჩვევებს და უზიარებენ ერთმანეთს სხვადასხვა მასალასა და ცოდნას.

YouTube – სოციალური მედია „ოქროს მაღარო“ ენის შემსწავლელთათვის, რომელიც შეიქმნა 2011 წელს, აიტვირთა 237 ვიდეო, რომელსაც ჰქონდა 300K – ზე მეტი ნახვა და 900 გამომწერი უკვე 2016 წელს. YouTube საუკეთესო პლატფორმაა ინგლისური ენის შესასწავლად. YouTube მოწონებულია მსოფლიოს წამყვანი საგანმანათლებლო ორგანიზაციების მიერ და YouTube-ზე ბაზირებული TeacherTube (http://www.teachertube.com/), რომელიც სპეციალურად საგანმანათლებლო მიზნებითაა შექმნილი, აერთიანებს ვიდეო, აუდიო რესურსებს, დოკუმენტებს, ფოტოებს, ჯგუფებსა და ბლოგებს. YouTube არხმა შექმნა ვიდეოგაკვეთილები. სტუდენტებს შეუძლიათ YouTube გამოიყენონ სხვადასხვა მასალის გასაცნობად. ის ყველაზე ცნობილი ვებგვერდია.

Twitter – ხელს უწყობს მომხმარებელს, ყოველდღიურ სოციალურ ყოფაში მოახდინოს ენაზე მუშაობის ინტეგრირება ისე, რომ ეს პროცესი არ იყოს ენის სწავლებაზე პირდაპირ მიმართული, არამედ ენის შესწავლა მოხდეს ამა თუ იმ ენის მატარებელთან ურთიერთობისა და თანამშრომლობის გზით.

ბლოგები და ვიკი – გამოიყენება ინფორმაციის, დისკუსიებისა და ერთობლივი მუშაობის გაზიარებისათვის. ფორუმები, ბლოგები 2006 წლიდან გამოიყენეს, როგორც კლასგარეშე ონლაინ სწავლების ფორმა. არსებობს ბევრი გასართობი და საინტერესო ენის შესწავლის ბლოგები. ბლოგები სწავლის ხელშეწყობის და აზროვნებისკენ არის მიმართული. ბლოგები ინფორმაციის ჭეშმარიტი საწყობებია. ისინი ფასდაუდებელ რჩევებს და რესურსებს იძლევიან. ვიკის გამოყენების მაგალითებია: ჯგუფური წერა, ინფორმაციის მოგროვება რომელიმე სასწავლო საკითხზე. ვიკიპედიებს, ფორუმებს და ბლოგებს ძირითადად იყენებენ ჯგუფური წერისთვის, წერის პროცესის ხელშემწყობ ფაქტორად, ონლაინ დისკუსიისთვის. ელექტრონული სწავლების პლატფორმა, რომელიც თავდაპირველად Moodle-სგან შეიქმნა, მუდმივად ახორციელებს სწავლებისა და სწავლის ახალი ელემენტების განახლებას, Moodle ინტეგრირებულია Wiki-სთან, რომელიც უფრო მეტად წერას უწყობს ხელს.

Moodle – განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს მოხმარების სიმარტივისა და მოხერხებულობის გამო, რომელზეც შეიძლება, ერთი მხრივ, სასწავლო მასალის განთავსება და ყველა იმ ოპერაციის შესრულება (ვიზუალიზაცია, ტესტირება, საჭირო ლინკებზე ბმულების გაკეთება, აუდირება, ვიდეოლინკების ან ჩანაწერების ინტეგრირება), რომლებიც მასალის ათვისებას უწყობს ხელს. ეხმარება შემსწავლებლებს განივითარონ ენობრივი უნარები მრავალგვარი სავარჯიშოსა და ტესტირების სისტემების შექმნით. ინტეგრირებულია კურსის მართვისა და პედაგოგიური ამოცანების გადასაჭრელად. უცხო ენის შემსწავლელ კურსებში შესაძლებელია ამ პლატფორმების გამოყენება დავალებების მისაცემად და შესაფასებლად, შეიძლება როგორც მთელი კურსის სრულყოფილად წარმართვა პლატფორმაზე, ისე მხოლოდ მისი გარკვეული კომპონენტების გამოყენება იმ შემთხვევებში, როდესაც არსებული სასწავლო მასალები ვერ ფარავს სასწავლო საჭიროებებს ან არასაკმარისია, ერთფეროვანია და ა. შ.

WhatsApp – შეტყობინებების აპლიკაცია, რომელიც მოიცავს მთელ მსოფლიოს. მილიარდზე მეტი ადამიანი იყენებს ამ სოციალურ მოწყობილობას 180 ქვეყანაში. ადვილია ურთიერთობა და სწავლა იმათგან, ვინც პოსტავს სამიზნე ენაზე.

Idiomplus – ერთ-ერთი პირველი სოციალური მედიაპროგრამა იყო ენის ასათვისებლად. იგი ყურადღებას ამახვილებს სოციალური მედიის არხების ინტეგრირებაზე შემსწავლელთა შორის საუბრის სტიმულირებაზე, რაც, თავის მხრივ, უფრო ბუნებრივი მეთოდის შექმნის საშუალებას იძლევა.

რუსუდან გოგოხია

ინგლისური ენის სწავლებაში სოციალური მედიის გამოყენება წლების განმავლობაში ვითარდება. ფორმალური და არაფორმალური სწავლის ინტეგრაცია შემოთავაზებულია როგორც ენის ოფიციალური სწავლის გასაუმჯობესებლად. ასევე აღმოჩნდა, რომ პერსპექტიული მიდგომაა სტუდენტების თვითრეგულირებადი სწავლის მხარდასაჭერად. გარდა ამისა, სოციალური მედია ხელს უწყობს კომუნიკაციას და მომხმარებლებს შორის მასალების გაზიარებას. კვლევების თანახმად, საშუალოდ ადამიანი 5 წელზე მეტს ატარებს სოციალურ მედიასთან.

მეთოდი

აუდიტორიები აღჭურვილია ინტერნეტით. ასრულებენ დავალებებს მედიის გამოყენებით. სტუდენტებს შევთავაზე, რომ შეექმნათ Facebook გვერდი ჯგუფური მუშაობისთვის. ყველა სტუდენტი ჩაერთო. ადვილად ხდება ერთმანეთთან კომუნიკაცია. ამ გზით კომუნიკაცია და თანამშრომლობა მარტივი და ინტუიციურია. ვწერ კომენტარებს, ვაფასებ, ვაწვდი დამატებით მასალებს ან, უბრალოდ, წახალისების მიზნით „ვუწონებ“ "like". სტუდენტებს შეუძლიათ მომმართონ ნებისმიერი კითხვით. კეთდება საერთო განცხადებები. საინტერესოა ის ფაქტი, რომ კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტები კვლავ იყენებენ გვერდს, რომ შეინარჩუნონ ერთმანეთთან კავშირი. სტუდენტებს მოსწონთ მედიის საშუალებით ურთიერთობა, რადგან მათ ჩვევად უყალიბდებათ ინგლისური ენის გამოყენება როგორც აუდიტორიაში, ასევე მის გარეთ.

კვლევაში გამოყენებული იყო კითხვები, რომლებიც ითვალისწინებდა სტუდენტების მიერ სოციალური მედიის გამოყენებას ინგლისური ენის შესწავლისას.

1. რომელ სოციალურ მედიასაშუალებებს იყენებთ ხშირად?
2. რა სიხშირით იყენებთ სოციალურ მედიას (ყოველდღიურად, ყოველკვირეულად, ყოველთვიურად)?
3. რამდენად ხშირად იყენებთ სოციალურ მედიას საჭირო ინფორმაციის მოსაძიებლად, მასალების, ბმულების, ფაილების გასაზიარებლად?
4. რამდენად ხშირად იყენებთ სოციალურ მედიას სტუდენტებთან ურთიერთობისთვის?
5. რამდენად ხშირად იყენებთ სოციალურ მედიას თქვენს ლექტორთან ურთიერთობისთვის?

შედეგი



მიღებული მონაცემებიდან აღმოჩნდა, რომ სტუდენტების უმრავლესობა იყენებს სოციალურ მედიას ინგლისური ენის შესასწავლად. სტუდენტები ყველაზე ხშირად იყენებენ YouTube, Facebook, Wikis. იყენებენ სოციალურ მედიას საჭირო და აუცილებელი მასალების შესასწავლად, ხშირად უზიარებენ ერთმანეთს მოპოვებულ მასალებს. გამოიკვეთა სტუდენტთა აშკარა მიდრეკილება ერთმანეთთან ურთიერთობისა, ვიდრე პედაგოგთან. გასაკვირი არ არის, რომ YouTube არის სტუდენტების მიერ ყველაზე ხშირად გამოყენებადი ინგლისური ენის შემსწავლელი ინსტრუმენტი. YouTube გამოვლინდა სტუდენტების ინგლისური ენის შესწავლის საუკეთესო საშუალებად. როგორც ყოველდღიური, ისე ყოველკვირეული მომხმარებლების მაღალი პროცენტული მაჩვენებლების საფუძველზე, Facebook-ს ასევე იყენებენ ყოველდღიურად და ყოველკვირეულად. მდედრობითი სქესის სტუდენტები უფრო აქტიურად იყენებენ სოციალურ მედიას სასწავლო საქმიანობისთვის, ვიდრე მამრობითი სქესის სტუდენტები. მდედრობითი სქესის სტუდენტები უფრო იყენებენ WhatsApp, Instagram-ს, ხოლო მამრობითი სქესის სტუდენტები იყენებენ Wikis, ფორუმებს ან ბლოგებს. სტუდენტთა სამი მეოთხედი იყენებს YouTube-ს ინგლისური ენის შესასწავლად, შემდეგ მოჰყვება Facebook და WhatsApp. ვიკიპედიებს იყენებენ ყოველკვირეულად ან ყოველთვიურად. სტუდენტების თანაბარი პროცენტი ბლოგებს იყენებდა როგორც ყოველკვირეულად, ასევე ყოველთვიურად.

რუსუდან გოგოხია

დასკვნა

სოციალური მედიის გამოყენება სტუდენტთა თვითრეგულირებადი სწავლების მხარდასაჭერად პერსპექტიული მიდგომა აღმოჩნდა. სტუდენტები არ იყენებენ სოციალურ მედიას მხოლოდ არაფორმალური საკითხების განსახილველად. ფორმალური და არაფორმალური სწავლების ინტეგრაცია არის გზა, გააძლიეროს ფორმალური ენის შესწავლა. თავიდან უნდა იქნეს დასახული სწავლის სტრატეგია, თუ რა სოციალური მედიარესურსები არის საჭირო ენის ასათვისებლად. სოციალური მედია ხელს უწყობს:

- კომუნიკაციას და მომხმარებლებს შორის ინფორმაციის სწრაფ გაზიარებას.
- ტექნოლოგია ზრდის მოტივაციას და საშუალებას აძლევს, გახდნენ უფრო დამოუკიდებელნი.
- სოციალური მედიის გამოყენებით სტუდენტები ერთმანეთთან ურთიერთობენ, უზიარებენ მასალებს.
- სტუდენტები ეფექტურად იყენებენ მათ საყვარელ მედიასაშუალებებს ცოდნის გასაღრმავებლად, რათა ხელი შეუწყონ სწავლის ღირებულების გაზრდას.
- ტექნოლოგიის გამოყენება ზრდის შემსწავლელთა შესაძლებლობებს.
- მისი გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა დროს.
- ტექნოლოგია მნიშვნელოვან როლს ასრულებს ყოველდღიურ ცხოვრებაში.
- შემსწავლელებს სჭირდებათ ციფრული და ელექტრონული წიგნიერების ცოდნა საერთაშორისო დონეზე კომუნიკაციისთვის.

პედაგოგებმა ხელი უნდა შეუწყონ ცოდნის გაზიარებას ერთობლივი სწავლის თვალსაზრისით, სტუდენტების ინფორმირებულობის გაზრდას და უზრუნველყონ საათანადო მომზადება. სოციალური მედიის გავლენა უცხოური ენის სწავლა/სწავლებაში აღარ უნდა იყოს უგულებელყოფილი. მისასალმებელია სწავლის ეს ახალი ეპოქა.

რეკომენდაციები

- უსაფრთხო და სწორი გარემოს შერჩევა
- ურთიერთობების ხელშეწყობა
- კრიტიკული აზროვნება
- რეალურ ცხოვრებაში ურთიერთობების განვითარება
- შესაძლებლობების უზრუნველყოფა
- ენის გაზიარება სოციალური ასპექტებით
- ნებისმიერი აპლიკაციის გამოყენება, რომელიც ხელს შეუწყობს სწავლას
- გამოყენება იმ საიტებისა, რომლებიც ხელს უწყობენ ენის უნარ-ჩვევების განვითარებას
- თანამოაზრეების პოვნა

სოციალური მედიის როლი უცხოური ენის ათვისებაში

Rusudan Gogokhia
European University

The Role of Social Media in Language Learning

Summary

Social Media Language Learning is a learning approach that concentrates on connecting interactive social media channels with language learners. Studies indicate that language learning is both inherently social and interactive so this method facilitates learning. Social Media Language Learning isn't just about surfing the web, watching random videos or clicking interesting links—although some form of each of those is at least a logical component of the method. Using videos, newscasts and conversations in chat groups to observe the cultural aspects of a country where a target language is spoken can be a huge advantage when it comes to learning. This study first shares our case of using social media in English language teaching and secondly, explores students' use of social media for English learning. Five sets of questions were set up in the survey. An online questionnaire was designed to capture the situation of students' use of social media for English learning. Students were found to be using social media for English language learning. According to the scores students' most popular tool for English learning is YouTube. They also used Facebook, Wikis and WhatsApp to learn English. No great difference of the mean scores between genders. The high frequencies of students using social media to share and obtain materials with each other to complete assignments.

Educators are advised while endeavoring to promote knowledge sharing in terms of collaborative learning, simultaneously, to raise students' awareness of academic integrity and also provide proper training.

Key words: social media, online resources, learning platformsd.

გამოყენებული ლიტერატურა:

Fleck, B. K., & Beckman, L. M. Sterns, J. L. and Hussey, H. D. (2014). ''YouTube in the Classroom: Helpful tips and student perceptions,'' Journal of Effective Teaching, vol. 14, pp. 21-37.

Hadjerrouit, S. (2014). ''Using wikis to evaluate student' contributions to collaborative writing in teacher education,'' in Computer Supported Education Anonymous Springer, pp. 3-18.

Wagner T. (2008). The Global Achievement Gap. What we can and must we do as citizens about this growing global achievement gap. New York, NY. Basic Books. Pp. 5-29.